

გაქვს თუ არა პრობლემები ნარკოტიკებთან დაკავშირებით?

ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან თუნდაც ერთი მაინც თუ გამოვივლინდა, ჩათვალე, შენთვის ნარკოტიკები პრობლემატურია:

- პერიოდულად გახსენდება ის მომენტი, როდესაც პირველად გასინჯე ნარკოტიკი
- ვინდება კვლავ და კვლავ გაიმეორეო ნარკოტიკის ეფექტი
- სწირად მას სიზმარში ხედავ
- ეძებ იმ სიტუაციას, სადაც ნარკოტიკების შოვნა შეიძლება
- არ უშვებ არც ერთ მომენტს, რომ ნარკოტიკი არ მოიხმართ
- გამუდმებით იმაზე ფიქრობ, სად იშოვო ნარკოტიკი
- ნარკოტიკის მოსაპოვებლად მზადა ხარ იცრუო ან ნებისმიერი ვხით იშოვო ფული მის შესაძენად.

ნემსის მოხმარებლები

თუ ნარკოტიკს შპრიცით იღებ, აუცილებლად უნდა მიმართო პროფესიონალებს და გაარკვიო, სომ არა ხარ დაინფიცირებული. მანამდე კი, აი, რას უნდა მიაქციო ყურადღება:

- გამოიყენე ყოველთვის სტერილური შპრიცი და არასოდეს იხმარო ერთი შპრიცი ორჯერ
- არასოდეს მიაგდო შპრიცი. გამოყენების შემდეგ ნემსს ჩამოაცვი დამცველი თავი და საგულდაგულოდ გაწმენდე. მიაქციე ყურადღება, რომ გამოყენებული შპრიცი არ იქნას აილოს
- ნურასოდეს გამოიყენებ უკვე გამოყენებულ შპრიცს. ამას შეიძლება საშინელი შედეგები მოჰყვეს
- ნუ გამოიყენებ სხვის შპრიცს ან მოწყობილობას. ამ ვხით შეიძლება ისეთი დაავადებებით ინფიცირება, როგორიცაა შიდსი, B და C ჰეპატიტები. ეს დაავადებები შეიძლება სიკვდილით დამთავრდეს!

მცდარია!

ზოგი ასე ხსნის თავის დამოკიდებულებას ნარკოტიკებისადმი, უბრალოდ იმიტომ ვიღებ, რადგან ასეა ჩემი ორგანიზმი მოწყობილი.

მიმართე დახმარებას!

დახმარების მიღება

საზოგადოება გულისყურით ეკიდება ამ პრობლემას. ვისაც არ უნდა მიმართო, შენს პრობლემას ყველა ყურადღებით მოეკიდება.

როგორ მოგიქცეთ ექსტრემალურ სიტუაციაში

ძნელია ნარკოტიკებთან დაკავშირებით წინასწარ სიტუაციის განსაზღვრა. ერთი და იგივე ნარკოტიკი სხვადასხვა ადამიანზე შეიძლება განსხვავებულად ზემოქმედებდეს. ექსტრემალურ სიტუაციაში შენი მეგობარი ნარკოტიკების მიღების შემდეგ შეიძლება დაიღუპოს!!!

სასწრაფოში დარეკვა

აკრიფე 03 ან სხვა სასწრაფო დახმარების ნომერი, იკითხე სასწრაფო დახმარება და აუწყე შექმნილი ინფორმაცია:

- ტელეფონის ნომერი, საიდანაც რეკებ
- სად იმყოფები,
- რა დაემართა შენს მეგობარს.

ნუ შეგეშინდება იმის თქმა, რომ მან ნარკოტიკი მიიღო. აუცილებლად უთხარი, რომელი ნარკოტიკი მიიღო მან. მხოლოდ ამ ინფორმაციას შეუძლია შენი მეგობრის სიცოცხლის გადარჩენა.



ინიციატივის ხელში ჩაგდება

თუ შენს მეგობარს ნარკოტიკების გამო რაიმე გვერდითი ეფექტები აქვს, იცოდე, მის სიცოცხლეს დიდი საფრთხე ემუქრება. აუცილებელია შეგეძლოს გამოიცნო, რა შემთხვევაში იქმნება პრობლემა და როგორ მოიქცე ასეთ სიტუაციაში. მხოლოდ სწორ ქმედებას შეუძლია შენი მეგობრის სიცოცხლის გადარჩენა. წიგნში წაიკითხე ყველა რუბრიკა - **”თუ რაიმე პრობლემები შეგექმნა”**. იგივე ურჩიე შენს მეგობარს. ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, გაიარეთ პირველადი დახმარების კურსები.

თუ როგორ მოიქცე ექსტრემალურ სიტუაციაში - წაიკითხე შემდეგ გვერდზე.